სამყაროს წყალობად მოვლენილი

ჰზ. მუჰამმედი

(ს.ა.ვ)

სამყაროს წყალობად მოვლენილი

ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ)

ჩვენი ძვირფასი შუამავალი ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) რებიულეველის მთვარის მე-12 ღამეს (571 წლის 20 ივნისი) ქალაქ მექაში დაიბადა. სახელი მუჰამმედი, რომელიც სანაქებოს ნიშნავს, ბაბუამ, აბდულმუტტალიბმა დაარქვა. შუამავალს მამა მის დაბადებამდე, ხოლო დედა მაშინ გარდაეცვალა, როდესაც შუამავალი ექვსი წლის იყო. დედის გარდაცვალების შემდეგ მისი მეურვეობა ბაბუამ, აბდულმუტტალიბმა იკისრა. რვა წლის შუამავალს ბაბუაც გარდაეცვალა და მისი მეურვეობა ბიძამ, ებუ თალიბმა ითავა.

ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) ბავშვობიდანვე ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან მას სულ ბარაქა დაჰყვებოდა თან. გარდა ამისა, მას მაღალი ზნეობრივი მახასიათებ-

ლები ჰქონდა, რის გამოც ყველას უყვარ-
და. შუამავალს ადამიანებთან კარგი ურ-
თერთბა ჰქონდა, ნათესავებს ყურადღებას
აქცევდა და ყველას ეხმარებოდა. მისი ყვე-
ლაზე თვალსაჩინო თვისება კი სიმართლე
და სანდოობა იყო.

ჰზ. მუჰამმედი ისე აგრძელებდა ცხოვრე-
ბას, რომ ისლამამდელ უმეცრების ხანისთ-
ვის დამახასიათებელი მავნე ტრადიციის
მიხედვით არ მოქცეულა და არცერთი ბო-
როტება არ ჩაუდენია. ის იყო უაღრესად
პატიოსანი, მართალი და სამართლიანი
ადამიანი. ის სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა
და თავისი პატიოსნებით იმდენად გაითქვა
სახელი, რომ ხალხმა „მუჰამმედულ ემინ“,
ანუ სანდო მუჰამმედი შეარქვა.

ისლამამდელ უმეცრების ხანაში უსამართ-
ლობა და ძალმომრეობა მძვინვარებდა.
ხალხში უნდობლობა და შიში იყო დასად-
გურებული. ასეთი რთული სიტუაციის გა-
მოსწორების მიზნით მექაში ჩამოყალიბდა
ჯგუფი, რომელსაც ეს სავალალო მდგომა-
რეობა უნდა გამოესწორებინა. ამ ჯგუფის
ერთ-ერთი წევრი ჰზ. მუჰამმედიც (ს.ა.ვ)
იყო. ჯგუფის მოვალეობა საზოგადოების
ნებისმიერი წევრის დაცვა და უფლებების
დარღვევის შემთხვევაში სამართლიანო-
ბის აღდგენის უზრუნველყოფა იყო.

როგორც აღვნიშნეთ, შუამავალი ახალ-
გაზრდობაში ვაჭრობას მისდევდა. ამ
სფეროში თავისი პატიოსნებით სახელი

بسم الله الرحمن الرحيم

إنه من سليمان وإنه

أبو بكر رضي الله عنه

عمر رضي الله عنه

عثمان رضي الله عنه

علي رضي الله عنه

وما أرسلناك إلا رحمة للعالمين

გაითქვა და ყველასთვის სანდო ადამიანი გახდა. მისმა პიროვნულმა თვისებებმა ჰზ. ჰატიჯეს ყურადღება მიიპყრო და მან ჰზ. მუჰამმედს (ს.ა.ვ) დაქორწინება შესთავაზა. ამრიგად, შუამავალი 25 წლის ასაკში დაქორწინდა. შუამავალს ამ ქორწინებიდან ექვსი შვილი გაუჩნდა, მათ შორის ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი.

იმ პერიოდში არაბები კერპთაყვანისმცემლობას მისდევდნენ. გარდა ამისა, გავრცელებული იყო ქრისტიანობა და იუდაიზმი. ასევე იყვნენ ჰზ. აბრაამის მიერ ნაქადაგები ერთი ღმერთს რწმენის მიმდევრებიც. ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) ერთი ღმერთის რწმენის მიმდევარი იყო, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამიტომ რამადანის თვეში ჰირას მთაზე მდებარე გამოქვაბულში წავიდა და განმარტოებული სამყაროს გამჩენზე ფიქრობდა. როდესაც სკვები შემოაკლდებოდა, ქალაქში ჩამოდიოდა, გაჭირვებულებს დახმარებას უწევდა, ქაბას ტავაფს ასრულებდა და ისევ გამოქვაბულში ბრუნდებოდა.

١٤٢٧

ჰზ. მუჰამმედის (ს.ა.ვ) შუამავლობა

610 წლის რამადანის თვე იყო. ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) ისევ გამოქვაბულში იყო განმარტოვებული. რამადანის თვის ბოლო ათი დღე მიმდინარეობდა. მას ანგელოზი ჯებრაილი გამოეცხადა და ღვთიური ბრძანება გააცნო. ბრძანება ასეთი იყო: „წაიკითხე, შენი გამჩენის სახელით“. ეს იყო პირველი ბრძანება. იმ დღეს შუამავალს ხუთი აიათი მოევლინა. ამ დღიდან ის ღვთის რჩეული შუამავალი გახდა და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მისია დაეკისრა.

ჰზ. ადამიდან დაწყებული კაცობრიობას მრავალი შუამავალი მოევლინა. ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) შუამავალთა ჯაჭვის უკანასკნელი რგოლია. ის უკანასკნელი შუამავალია. ის, როგორც ყველა დანარჩენი შუამავლები, კაცობრიობას ერთი ღმერთის რწმენისკენ მოუწოდებს. ყველა შუამავალი ამ მისიით იყვნენ მოვლენილნი. შესაბამისად, ყველა შემდგომი შუამავალი წინა შუამავლებისა და მომავალი შუამავლების მიერ მოტანილი გზავნილის განმტკიცებისთვის იყვნენ მოვლენილნი.

ჰზ. მუჰამმედამდე მოვლენილი შუამავლები მისი მოვლინების შესახებ ინფორმაციას

الله اولئك الذين امتحن الله قلوبهم للتقوى
واجر عظيم
رسول الله

გვაწვდიან. ეს ინფორმაცია მოცემულია თორასა და ბიბლიაში. (იხ. არაფ, 7/157; საფ 61/6). ჰზ. მუჰამმედმა (ს.ა.ვ) წინარე შუამავლების მიერ მოტანილი გზავნილი დაადასტურა და მათი შეუცვლელი ვერსია ჭეშმარიტებად გვამცნო (იხ. ბაყარა, 2/97, 136)

შუამავალი მუჰამმედი (ს.ა.ვ) უკანასკნელი შუამავალია, რომელიც მთელი კაცობრი-

ობის ჭეშმარიტ გზაზე დადგომისთვის იქნა მოვლენილი. მის მიერ მოტანილი სარწმუნობა ისლამი უნივერსალური სარწმუნოებაა, რომლის მოქმედებაც ქვეყნიერების დასასრულამდე გაგრძელდება. მის შემდეგ ახალი სარწმუნოება აღარ იქნება. (იხ. ალი იმრანი, 3/19). შუამავალ მუჰამმედს (ს.ა.ვ) წმინდა წიგნი ყურანი მოევლინა, რომლის დებულებებიც ქვეყნიერების დასასრულამდე მოქმედი იქნება.

ჰზ. მუჰამმედმა (ს.ა.ვ) 23 წლიანი შუამავლობის პერიოდში თავისი მისია პირნათლად შეასრულა და კაცობრიობას ისლამი საუკეთესო ფორმით გააცნო. მან გაავრცელა ისლამი და ღვთური გზავნილი უნაკლოდ გადმოგვცა. ის ღვთისგან იღებდა გზავნილს და ამავდროულად ჩვენთვის გასაგებ ენაზე განმარტავდა. ღვთური გზავნილის ადამიანებზე გაცნობა რომ დასრულდა, შუამავლის მისია ამოიწურა. შუამავალი ხალხს კითხვებზე პასუხობდა და ღვთიური გზავნილით მიღებულ ინფორმაციას განუმარტავდა. მან გვასწავლა ღვთისმსაურება და მისი შესრულების ფორმები. ის არა მარტო განმარტავდა, არამედ ამ გზავნილის მიხედვით ცხოვრობდა, რათა ადამიანებისთვის სწორი გზა ნათლად ეჩვენებინა.

შუამავლის ცხოვრებას, მისი სიტყვებისა და ქმედებების ერთობლიობას სუნნეთი (სუნა) ეწოდება. მისი სიტყვები, ქმედებები და ასევე ყველაფერი, რასაც ის ადასტუ-

რებდა, სუნნეთის ფარგლებში შედის. შესაბამისად, თუ გვინდა რომ ისლამი კარგად გავიგოთ, შუამავლის სუნნეთიც უნდა შევისწავლოთ და შუამავალს მივბაძოთ.

ჰზ. მუჰამმედის (ს.ა.ვ)

მორალური თვისებები

ჰზ. შუამავალი (ს.ა.ვ.) ადამიანი იყო; ჭამდა, სვამდა, იძინებდა, იღლებოდა და, რა თქმა უნდა, უბრალო ხალხივით თავისი მოთხოვნილებებითაც იყო დაკავებული. თუმცა, არასწორია მისი დანახვა ჩვეულებრივ ადამიანად, ისევე როგორც არასწორია მისი ზეადამიანად წარმოჩენა. მიუხედავად იმისა, რომ ის ადამიანად იყო გაჩენილი, ბუნებრივია, რიგით ადამიანად ვერ ჩაითვლება. ის ღვთის მიერ შერჩეული შუამავალია. ყურანში ვკითხულობთ:

„უთხარი: „მე მხოლოდ ადამიანი ვარ თქვენსავით. ზეშთამეგონა, რომ ღმერთი თქვენი ერთადერთი ღმერთია. მაშ, წარსდექით მის წინაშე ჭეშმარიტი რწმენით და მიტევება შესთხოვეთ მას. და ვაი, წარმართთა მდგომარეობას!“ (ფუსსილეთ, 41/6)

ამრიგად, მისი სხვა ადამიანებისგან განმასხვავებელი მთავარი თვისება ისაა, რომ ის ღმერთმა შუამავლად შეარჩია და ღვთური გზავნილი მოუვლინა.

ჰზ. შუამავლის ყველაზე თვალსაჩინო თვისება ის იყო, რომ ის იყო ძლიერი ხასიათის ადამიანი, შემკული კარგი ზნეობითა და სიმართლით. მას ასევე გამოარჩევდა მრავალი კეთილშობილური თვისებები, როგორიცაა კეთილშობილება, თავმდაბლობა, თანაგრძნობა, თავგანწირვა და სხვა.

ჰზ. შუამავალი გამართული, მტკიცე ნაბიჯებით დადიოდა. როდესაც უკნიდან დაუძახებდნენ მხოლოდ სახით კი არ მიიხედავდა, მთელი სხეულით შეტრიალდებოდა ხოლმე. როდესაც ვინმეს ელაპარაკებოდა სახეში უყურებდა.

შუამავალს ფუჭსიტყვაობა არ უყვარდა. ის მხოლოდ განსაკუთრებულ თემებზე საუბრობდა. საუბრის დროს სხეულის ენასაც იყენებდა და დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდა. ხუმრობის დროსაც კი ტყუილს არ ამბობდა და გულს არავის ატკენდა.

ჭამის დროს შუამავალი მარჯვენა ხელს იყენებდა. თუ საჭმელი არ მოეწონებოდა არ ჭამდა, მაგრამ საჭმლის წუნს არ იტყოდა. ის მგრძნობიარე იყო საკვების გეგმაზომიერად მოხმარებასთან დაკავშირებით. ის ის ჭამას ყოველთვის ღმერთის სახელის ხსენებით იწყებდა და როდესაც დაასრუ-

ლებდა, ღმერთს მადლობას სწირავდა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა როგორც პირის ღრუს, ასევე კბილების ჰიგიენას და კბილებს სისტემატიურად იხეხავდა.

მას სურდა, რომ მუსლიმი ყოველთვის სუფთად და კარგად ჩაცმული ყოფილიყო, მაგრამ მან აკრძალა ისეთ ტანსაცმელი, რომელიც ადამიანს ამპარტავნად წარმოაჩენდა. ამასთანავე, ის გვირჩევდა სასიამოვნო სუნამოების გამოყენებას.

ალლაჰის შუამავალი ცხოვრობდა იმის გაცნობიერებით, რომ ცხოვრებაში ყველაფრის მფლობელი ყოვლისშემძლე ალლაჰია. ის ყველა ადამიანსა და ყველა ცოცხალ არსებას პატივს სცემდა, რადგან იცოდა, რომ ყველა ღმერთის გაჩენილი იყო. ამ მხრივ ის ცხოველებს წყალობდა და აფრთხილებდა ყველას, ვინც ცხოველებს სასტიკად ექცეოდა. ის ადამიანებს ურჩევდა, რომ წარღვნაც რომ ყოფილიყო, მაინც ნერგვა ეცადათ. ის ასევე ადამიანებს ურჩევდა, რომ გაფრთხილებოდნენ გარემოს და ასევე არ დაებინძურებინათ სუფთა წყალი.

muslim georgia
International charity foundation

რესს
მამამცველობა